ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15233532**
თარიღი:**19/12/2023**

მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1-ში არსებული 107,30 კვ.მ. ფართის №3 საცხოვრებელი ბინის (ბლოკი „ბ“; მე-15 სართული; 22-42 და ა-პ ღერძები; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.23.04.051.01.5024.1011) მრავალშვილიანი ოჯახისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე: ევგენი შაინიძე (პ/№61009004914); ნანა შაინიძე (პ/№61009026381); ლელა შაინიძე (პ/№61009032446); ლიზა შაინიძე (პ/№61509035019); მარი შაინიძე (პ/№61109035021); ელზა შაინიძე (პ/№61509035020); ნათია შაინიძე (პ/№61854001492); ანასტასია შაინიძე (პ/№61554002173) და გელოდი შაინიძე (პ/№61554002473).

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს ქალაქ ბათუმში, შ.ხიმშიაშვილის ქ. №1-ში არსებული 107.30 კვ.მ. ფართის №3 საცხოვრებელი ბინის (ბლოკი „ბ“; მე-15 სართული; 22-42 და ა-პ ღერძები; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.23.04.051.01.5024.1011) სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურების - 26 825 (ოცდაექვსი ათას რვაას ოცდახუთი) ლარის გადახდა წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში მოახდინოს შემდეგი შინაარსის შეზღუდვის რეგისტრაცია: „მესაკუთრეებს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა.“.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი